

S.72
1991



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ

ღებრო, დაფლეთილი ტანი

გიორგი წარეთელი

გული თუ აქვს გატეხილი,
ღმერთმა უნდა გააძრთელოს,
ჯანი თუ აქვს გატეხილი,
ღმერთმა უნდა აჯანძრთელოს,
ტანი თუ აქვს დაფლეთილი,
ღმერთმა უნდა ატანძრთელოს,
ღმერთო, დაფლეთილი ტანი
გაუძრთელე საქართველოს!



სივამბა სამშობლოზე

სირა ჰიტიაშვილი

მე ჯმისთანა მთა მიუვარს
და ამისთანა ბარი,
როგორც ჩემს სამშობლოში,
საქართველოში არი.
სწორედ ასეთ მხეს შევხარი,
სხე გაბადრულ მთვარეს,
პირსე დიმილით რომ უკლის
ჩემს სათაუვანო მხარეს.
და მას ვადიდებ, სამშობლოვ,
ვინც თავს შენ განაცვალე,
მოუვარეს გულში ჩაიკრავს,
მტერს დაუბნელებს თვალე.
შეც სამშობლოზე ვლოცულობ,
არვის შევარჩენ დღელს,
მისი ფუტკარი ვიქენბი,
ვიდრე შეუოფა ძალა.

ვლადიმერ ასლამაზიანი

მორჩა, არც ხვეწნამ გაჭრა, არც იროდის ცრემლებმა — ხვალ რთველში ბოჩი უნდა დაკლან.

ბოჩი თხას ჰქვიან, სულ პატარა იროდომ გაზარდა. ადრე გაზაფხულზე მამამ ჩათმიდან მოუყვანა. ბამბასავით თეთრი თიკანი იყო. მარტო ყურები ჰქონდა შავი, გეგონებოდათ, გაუმურიათო.

დადიოდა ეზოში, ებლოტებოდა ღობეზე, პირით აკაციისა და ტყემლის ტოტებს იწვდიდა, გლეჯდა ფოთლებს და გემრიელად აკნატუნებდა.

უხაროდა იროდის გამოჩენა. ეზოში შემოსულს წინ დახვდებოდა, ხელებში უყურებდა, რა მომიტანაო. იმასაც იღლით ხან აკაციის ფოთლები მოჰქონდა, ხან ახლადდაგლეჯილი ბალახი, მარილმოყრილი პურის ლუქმასაც აჰმევდა თავის თიკანს.

სამ-ოთხ თვეში ტანი აიყარა. ერთ მტკაველზე მუჭი, ნაცრისფერი რქები ამოუყვდა, გაიზარდა და გალალდა. თვალს მოჰკრავდა თუ არა იროდის, შორიდანვე კუნტრუშით მოდიოდა. შედგებოდა უკანა ფეხებზე, ვითომ ბოჩი უნდა დავკრაო, მაგრამ რას გაიმეტებდა თავის პატრონს, გვერდზე გახტებოდა და ქათმებს მიეტანებოდა ხოლმე სარქვენად. ისინიც დაფეთებულნი, კრიახითა და ჰაი-ჰუით დასამალად გარბოდნენ.

აკი იმიტომაც დაარქვა იროდომ ბოჩი.

— ვაი, რა ვიშველო, ჩემო ბოჩი, დაკვლას ვიპირებენ, — ეხვეოდა კისერზე თვალცრემლიანი ბიჭი თხას და არ იცოდა, როგორ გადაერჩინა.

— ხვალ ვენახში მწვადებს რო ავაშინებთ, შენი ბოჩი დაგავიწყდება, — უთხრა მამამ იროდის.

— არ დამავიწყდება, არა. ბოჩი რომ არ დაკლათ, ისე რთველი არ შეიძლე-



ბა? — აზლუქუნდა ბიჭი.

მაინც ყური არავინ ათხოვა. მარტო პაპა გამოექომაგა: ძნელია მიჩვეული საქონლის თავიდან მოშორებაო.

აღარ სცილდება იროდი ბოჩის. იმდენი აკაციის ფოთლი და ბალახი მოუზიდა, თხას გაბერილი ტიკივით დაადგა ფერდები, უკვირს ბოჩის, ნეტავი რამ დააღონა ჩემი პატრონი, ან რა ამბავია, ამდენს რომ მაჰმევსო.

— ეე, რას ვიპირებენ, არ იცი, — ჩურჩულებს დადარდინებული იროდი.

შუადღისას ქალაქიდან სტუმრები: ბიძა და ბიძაშვილები — სამი და: იანა, ლიანა და მზიანა მოვიდნენ.

იროდი სახლის აივანზე გაბაიყუშებული იჯდა. ვითომ ვერც გაიგო იმათი მოსვლა.

— შენ რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, ბიჭო, ადე, ბიძაშვილებს ჩამოგებე, — შემოსძახა მამამ ეზოდან.

იროდი კბეებზე უხალისოდ ჩავიდა. ბიძაშვილებს ხელი ჩამოართვა. იმათ დიდის ამბით გადაეკცნეს. მაშინვე ბოჩი

მოიკითხეს, როგორ არისო, რადგან ირო-
ლი თხის ამბებს სწირად სწერდა მათ.

— ხვალ რთველში ბოჩი უნდა დაკ-
ლან, — თქვა ბიჭმა და, ემანდ არ ავ-
ტირდეთო, სახლს უკან გაიქცა.

— უი, რას ამბობ, — ლოყაზე ხელი
შემოირტყეს გოგონებმა და იროლის გა-
მოუდგნენ.

თხა სახლის უკან, სათივის ქვეშ თო-
კით გამობმული დახვდათ, არხეიდან
იცხონებოდა. იროდი შორიახლო იჭდა და-
ლონებული.

გოგონები ბოჩის მიეფერნენ. მერე
იროლის გვერდით დასხდნენ და ბჭობა
გამართეს, როგორ გადაერჩინათ თხა.

იმ ღამეს ყველას არხეინად ეძინა. მარ-
ტო ბავშვებს გაფრთხობოდათ ძილი. დებ-
მა იტრიალეს, იტრიალეს და როდის-
როდის ჩაეძინათ. იროლის ძილი არ ეკა-
რებოდა, ხან პირქვე იწვა, ხან გულაღმა.
თვალწინ სულ ყელგამოჭრილი, ხეზე ჩა-
მოსატყავებლად დაკიდული ბოჩი ედგა.
მამლებმა მესამედ იყვილეს.

არ ახსოვს, რა დროს ჩაეძინა. დილით
დედამ გააღვიძა, ადექი, რთველში მივ-
დივართო.

— მე რთველში არ მოვდივარ, —
თქვა იროდომ და გვერდი იცვალა.

— რატომ, ბიჭო?! — გაუკვირდა დე-
დას.

— იმიტომ, რომ ბოჩი უნდა დაკლათ!

— კიდევ ვერ ამოიგდე თავიდან ეგ
თხა?

— ბოჩი ჩემი გავრდილია!

— მამა სხვა თიკანს მოგიყვანს!

— არ მინდა!

— კარგი, იყავი სახლში, მარტო ჩვენ
წავალთ!

იროლის დედა გოგონების გასაღვი-
ძებლად წავიდა, დები გაბუტულები
დახვდნენ, თუ ბოჩის დაკლავთ, რთველში
ფეხსაც არ გამოვდგამთო.

— შეთქმულებაა, — გაჭავრდა
დის მამა, — კარგით, უთქვენოდაც მი-
ვირთვეთ მწვადებს, ვერ უყურებთ
ამათ?!

— იცი, რა შვილო? ესენი თუ იქ არ
იქნებიან, რა სილამაზე ექნება რთველს?
ბავშვები არ წამოვლენ და არც მე წამო-
ვალ, — ხელი ჩაიქნია იროლის პაპამ.

პაპას ბებიამ აუბა მხარი.

— ქა, ყმაწვილები შინ იყვენენ და მე
რთველში წამოვალ? არა, გენაცვათ, არა!
მეტი რა შეეძლო იროლის მამას, გა-
იცინა და თქვა:

— კარგი, ხალხო, ბოჩის არ დავ-
კლავთ, უმაგისოდაც არ გვაკლია სახმელ-
საქმელი. აბა, წავიდეთ რთველში!

— ვაშა, — იყვირეს გახარებულმა
გოგონებმა და საწოლებიდან ჩიტებივით
წამოფრინდნენ.

იროდი უკვე აივნის კიბეებზე ფეხში-
შველი ჩარბოდა. გადაიარა ცივი, ნამიანი
ეწო, გავიდა სახლის უკან, გადახვია ხე-
ლები ბოჩის და ყურში ჩასძახა:

— გადარჩი, ჩემო ბოჩი, გადარჩი!



მხატვარი თამაზ სუსიშვილი

ყორალი

მელა კახია

დავალავე ოთახი
კუშინ თვლიერწამს.
დღეს ზირსანოცს გავრეცხავ,
სვალ გავრეცხავ ზეწარს.
დედას წვეუშველები,
გავურეცხავ სუფრას,
ჭრიჭინა ხომ არა ვარ,
ღრო დავკარგო უქმად!



ჩიტი და გელა

ბაჰან სვანიძე

გელა: რა ლაღად მოგიღერია
ჩიორა, ნახი ეელი.
რა სიაძაყით ვასმახი
ტებილ ჰანჯებს, როგორ გშვენის.
ანსდროს არ ვიძღერია
ამკვარად, დღეს რომ ძღერი.
თითქოს ქვეყანა შენია,
შენია მთა და ველი.

ჩიტი: დიას, ჩემია მთაც, ბარიც,
ცაც, მიწაც, ეველაფერი.
დღეს, როგორც იქნა, ტევეობას,
გალიას დაუძვერი.
გავთავისუფლდი, გავლაღდი,
გული აივსო ღხენით.
სანუკვარ თავისუფლებას,
ტევეობით გულნატეპნი,
მთელი სხეულით განვიცდი,
მთელი სხეულით ვძღერი!



მხატვარი ბასო სილაშვილი

ცხენი და მგელი

ნუგზარ აფხაზაძე

ეს ამბავი დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა.

დაბურული ტყის პირას, შემოდგომის ნაირფერი ყვავილებით მოჩითულ მდელოზე ოქროსფაფრინანი, ლამაზი წაბლა ცხენი ძოვდა. სოფელი აქედან ძლივს ჩანდა, მაგრამ ცხენს არც სოფლის სისირე აფიქრებდა და არც უღრანი ტყის სიახლოვე აშინებდა, რადგან ისეთი მარდი ფეხები ჰქონდა, ზღაპრული ფრთოსანი რაში იმასთან მონავონი იყო.

მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო. ვგარიანად შენაყრებული წაბლა ცხენი ახლა ნება-ნება ძოვდა, უფრო ქორფა და სურნელოვან ბაღას ეტანებოდა.

უცებ ნიავმა შორეული ყეფისა და ყმუილის ხმა მოიტანა. ცხენმა ყურები ცქვიტა და ტყის პირს ოდნავ გაურიდა. გნიასი თანდათან მოახლოვდა, წამიც და ტყიდან აქოშინებული, ენაგადმოვადებული რუხი მგელი გამოვარდა და პირდაპირ წაბლა ცხენს მიაშურა. ცხენი შეერთა და გვერდზე გახტა.

— ნუ გეშინია, არაფერს გერიო, — ქოშინით უთხრა მგელმა და ტყისკენ მიიხედა. — მტრები მომდევნე, ძმო, მიშველე რამე, გადამარინე და საშაგეორო ჩემზე იყოსო.

წაბლა ცხენი თავს უნდობლად ავანტურებდა და დღუდა.

— ვიცი, სახელი გატეხილი გვაქვს, მაგრამ, დემრთმანი, მე სხვებს არა ვგავარ, — მგელი სულს ძლივს ითქვამდა და ფერდები საბერველივით აულ-ჩაუდიოდა. — თუ არ გჯერა, გამომცადე და ნახავო.

ცხენი ერთი პირობა შეყოყმანდა, მაგრამ მერე თავი დაიმშვიდა, ამ დაოსებულმა მგელმა რა უნდა მიყოსო, და ზურგი მიუშვირა:

— ეგრე იყოს, აბა, შემახტი და გავიქცეთო. მგელმაც არ დააყოვნა, ცხენს ზურგზე მოახტა. წაბლა ქარივით გაქანდა, ფერდობი თვალის დახამხამებაში ჩაირბინა და ათიოდე წუთის შემდეგ უკვე სამშვიდობოს გაიყვანა მგელი.

— პირდაპირ არ ვიცი, რით გცე პატივით, — უთხრა მგელმა ცხენს, — მე აი, იმ ტყიან ხევში მაქვს ბუნაგი, ხროვისაგან განდგომილი



ვარ, მარტო ვცხოვრობ ოჯახით. თუ ოდესმე რამე გაგიჭირდეს, იქ მოდი და დაიჭიხვინე, მე ვიცი და ჩემმა კაცობამო.

ცხენმა თავი დაუქნია და ერთმანეთს დაშორდნენ.

იმ წელს უჩვეულოდ გრძელი, თოვლიან-ყინვიანი ზამთარი დაიჭირა და წაბლა ცხენის პატრონს თოვა შემოაკლდა. თებერვლის მიწურულს, როცა ფერდობებზე თოვლი ცოტათი შეთხელდა, წაბლა ცხენი ხევს აპყვა, იმ ადგილს მიაკითხა, სადაც გასულ შემოდგომაზე რუხ მგელს გამოემშვიდობა, და მჭახედ დაიჭიხვინა. წუთიც არ გასულა, ხემოდან ნაცნობი მგელი დაეშვა.

— გამარჯობა შენი. რა გაგაჭირვებია? — ჰკითხა მგელმა.

ცხენმა თავისი გასაჭირი უამბო. მაშინ მგელი წაბლას იმ დაბურული ტყერი-საკენ გაუძღვა, სადაც ბუნაგი ჰქონდა მიწყობილი, და უთხრა:

— შენ აქ თოვლი გადაქექ-გადმოქექე, თავი

შეიქცევ, იქნებ საკბილოსაც წააწყდე რასმე-
მე კი გავიქცევი, იქნებ რამე მოვიხერხო. ახ-
ლავე ჩემს ოჯახობას დაეუძახებ და შენს თავს
იმას ჩავაბარებ. — მერე მოვლედ დაიძმუვლა,
ბუნავიდან გამოსულ ვეება ძუ მგელს დაუბარა:
ეს ჩემი მეგობარია და თვალი ადევნე, ბუზიც
არაქვინ აუფრინოსო, — და ტუნძულით დაეშევა
თავკეპი.

ძუ უყურებდა ცხენს და ფიქრობდა: „ერთიმ
რა იქნება, ამ წაბლა ცხენს ყელი გამოვლადრო,
მთელ კვირას ოჯახში გამოულეველი გვექნება
ხორცი. ჩემი უგერგილო ხვადი ხომ კურდღლის
შემომტანიც არ არის. ეს ერთი ხანია, სის-
ხლისდვრას ვერ იტანს ვაჟბატონი, ძალადობა
შეიძულა... მაგრამ ამას დოჯელის რომ და-
ვახვედრებ, რაღას იზამს?

თოვლქვეშ ჩარჩენილი, ჩამჭანარი ბალახის
ქებნაში წაბლა ცხენი კლდოვანი კედლის ძირს
მიადგა. და ამ დროს ზურგს უკან საეკვო ფაჩუ-
ნი მოესმა. შემობრუნდა და ხედავს, რომ ძუ მგე-
ლი წამოჰპარვია და ნახტომისითვის ემზადება.

— რას სჩადიხარო?! — ჰკითხა გაოგნებულ
მა წაბლამ.

— რასა და, უნდა შეგჭამო.

— კი მაგრამ, თქვენში მადლის დაფასება
და სტუმრის დანდობა არ იციანო? — კიდევ
უფრო გაუკვირდა წაბლას.

— რა დროს დაფასება და დანდობაა, შე კაი
ცხენო, სისხლიანი ხორცი, რა ხანია, არ მი-
გეშნია, მე და ჩემს ლეკვებს შიშშილით კუჭი
გვიხმებაო, — კბილები გაავარჯუნა ძუ მგელმა.

წაბლა ცხენი მიხვდა, რომ ლაპარაკით ვე-
რაფერს ვახდებოდა და თავის დასახსნელად
ხერხი უნდა ეხმარა. იღბლად ერთი ცნობილი
იგავი გაახსენდა, თავი მოისაწყულა და ძუ
მგელს უთხრა:

— რაკი არ იშლი, ვიდრე შემჭამდე, ერთი
სიკეთე მაინც მიყავი: უკანა ფეხის ქაჩანში
აკაციის ვვალი მაქვს შერჭობილი და ის ამო-
მიღო.

— კარგიო, — მგელს, ეტყობა, გაოგნილი არ
ჰქონდა ის იგავი, ცხენთან ახლოს მივიდა და
ის იყო, პირი დაადო, რომ წაბლამ მთელი
ძალით ჩასცხო წიხლი და კბილები ჩაუღწეა,
მერე ისეკუბა, ძუს თავზე გადაველო და გრი-
გალივით დაეშევა თავკეპე.

საკმაო მანძილი რომ გაიბრინა, გზაზე ის
ნაცნობი მგელი შემოხვდა, ზურგზე თივის ბუ-
ლული აკეიდნა და ქოშინით მოჰქონდა.

— რად გამოქცეულხარო?! — გაუკვირდა
მგელს.

წაბლამ ყველაფერი უამბო. განრისხებულმა
ხვადმა ჯერ ყმულით იჯერა გული, მერე ძუს
წყველა-კრულვა შეუთვალა და ცხენს უთხრა:

— შენ იქნებ არ დამიჯერო, მაგრამ რა ვქნა,
აღარ შემიძლია, ყელში ამომივიდა ეს მგლური,
გაუტანელი, უმადური ცხოვრება! ტყეში აღმა-
დაღმა ტუნძულიც მომეზრდა. არა, ბუნავში
დამბრუნებელი აღარა ვარ, თუ ძმა ხარ, წამი-
ჯვანე შენს პატრონთან, შენთან ერთად მამყო-
ვოს, ბინას მაინც მივუხედავო.

წაბლა წინ წაუძღვა და სოფელში მიიყვანა.
ადამიანმა შეათვალა მგელი, იფიქრა,
მართლა გამომადგებო, ეხოს კუთხეში პატარა
წნული ბინა გაუკეთა, შიგ ჩაასახლა და ახალ
მეგობარს სახელად ძალდი უწოდა.

აი, მას შემდეგ ცხოვრობს ძალდი ადამიან-
ის გვერდით.



მხატვარი ელზარ ამოქაძე



აიღაოცა ღვთის ნაყროთხი, ჩვენო ოთქლით მონაკარი, მაშ, პირუელად ღვთისთვის

იყოს ჩუღაბუ და ყელუბტარი!

პიჭი

ღათო ლალია

ეურმნის ჭაჭით გამომსკდარა
ღუტუნია-ღუცუნა...
სახლი ვეღარ მიუგნია,
ისე გამობრუცულა.

შაიოვიდა ჭყინტი ტარი

ავთანდილ ბურბანიძე


დამტიტარო,
დამტიტარო...
შემოვიდა ჭყინტი ტარო,
ამწკანებულ ვანისაკენ
ფეხშიშველა გარბის ვანო.
დამტიტარო,
დამტიტარო...
როგორც იქნა, მისწვდა ტაროს,
მოტყნა და გაიხარა:
— გავიხარდე,
დიდი ვარო.



ღათვის ბალი

გიორგი მატრავალი

ჭირვეულობს დათვის ბელი:
— მომიტანეთ საწნახელი,
ეურმენი მაქვს რქაწითელი,
ვისაცა გსურთ, ასწით სელი,
დამასწავლა მელამ გუშინ,
გავაკეთოთ ფელამუმი.



კაკლის ბერძენი

ლია კობალაძე

კაკლის რთველი განაღდა,
 ცა გაეხსნა მანუხარს,
 საქმე შელად გაჩარხა,
 სასრუნავი გაუჩნდა.
 ვადახმხა ვარშემო
 რომანს, ოთარს, იამშეს,
 გვეწვიეთო, ბუშვებო,
 ბერტყვის ორმოტრიალსე.
 აქაქანდა ხათუნაც,
 აუღვენა ზეინახს,
 თმაქოჩორა დათუნამ
 კეტი მოარბენინა.
 კიბე მოისაკლისეს,
 მოიძიეს ანცებმა,
 კალთაუხვი კაკლის ხე
 ვაიძეტეს საცემრად.
 ხრიალ-ხრიალ-ხრიალით
 ჩამოშვავდა ნაყოფი,
 ეს რა დიდი ხე არის, —
 მთელი ესო არ ჰყოფნის!
 რომ არ გავახვიადო,
 ბროლზე არანაკლები,
 ბსრიალ-ბსრიალ-ბსრიალით
 დაბსრიალდნენ კაკლები.
 კროლა-კროლა-კროლია
 კაკალს ტყუნენ კბილები,
 თურმე რა იოლია
 შრომა შესმატბილებით!..




ხატლარი ბიოგვი რიონიშვილი

უამოღობა

ზურაბ კობარიძე

უმტვენებოდ დაბჩენილი
 ვაზი ცხარე ცრემლით ვოდებს,
 ხურჩხელები რიკულებად
 გარს ურბენენ ამ დროს ოდებს;
 საესეს ხილით, მოძახილით,
 გაუმარჯოს შემოდგომას,
 ჩვენს მარანში,
 ჩვენს ბუღელში
 მისი ფესვის შემოდგომას!



ღმერთს მადლობას

კუთვლი

ნოდარ შამანაძე



ზაზახეძი ზირჯვარს იწუნს,
 ღმერთს მადლობას უთვლის, —
 თითო ვაზსე ჩამოკრიფა
 ბუღელური ფუთი.
 ზირჯვარი მეც ვადვიწურე,
 ღმერთს მადლობას ვუთვლი, —
 ეკვლა საგანში მოვიღე
 ხუთი, მხოლოდ ხუთი.

გზია ჩხეტიანი



ბავშვებო! ჟურნალ «დილის» ფურცლებზე ხშირად წაგიკითხავთ მშვენიერი ლექსები სიკეთეზე, სილამაზეზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე — ამ ლექსების ავტორს, შიო მღვიმელის სახელობის პრემიის ლაურეატს, ქალბატონ მზია ჩხეტიანს 50 წელი შეუსრულდა. მოდით, ერთად მივულოცოთ მას დაბადების დღე, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, წარმატებები შემოქმედებით საქმიანობაში, დაე, კიდევ ბევრჯერ გაახაროს მისმა ლექსებმა ნორინ მკითხველი.

გაანვიღოს ღობეა

ღმერთო, მამაზეციერო,
სამებაო უწმინდესო,
ძალი მომეც შენმიერი,
რომ სიკეთის შუქი ვიქონო.
განმარდე ზაკვა, შური,
განმიცხოველე წმინდა გული,
სათნოება მომეც სრული
და მოუვასის სიყვარული!
გამიმძლავრე ჩემი ერი —
გმიწ ქართლოსის გასაჯისი,
ჰეუ მარადის ბედნიერი,
არ დასტოვო გასაჯიწში.
ღვთიურ მადლით დამაზურე,
მომეც ნიჭი ცოდნის შვეურვალს,
გამწარდე და მამსახურე
საქართველოს თავისუფალს.



გამთრის პირი

ნაღვლობს ჩვენი მერცხლის ბუდე,
აივანზე ჩუმაღ ნაღვლობს:
რად დამტოვეთ, უფრო უკეთ
სადაღა უნდა დაესასლოთ?
აივანზე ქარია და
თქროსფერი ფოთლის თოვა,
ეველამ გვერდი ამიარა,
კატამაც კი მიმატოვა.
აღარ სწევენ თავსაც ზეკით
არც გოგო,
არც კეცა ბიჭი!
ზოგჯერ ჩამოვლემს, შესისმრებით,
ვისმენ თქვენს ხმას,
თქვენს ტკბილ ტკბიჭებს.
გამადვიმებს ცივი წვიმა
ან გამმარი ფოთლის თოვა,
შეუ დამკერდა თვალციმციმა,
სადაცა თოვლიც მოვა.
ნაღვლობს ჩვენი მერცხლის ბუდე,
აივანზე ჩუმაღ ნაღვლობს,
რად დამტოვეთ, უფრო უკეთ
სადაღა უნდა დაესასლოთ!



შატავარი ბიორგი რიონიშვილი

აპოგ!

ლია კობალაძე

წუთი წუთზე,
წუთი წუთზე
წაბრძანდება ძველი
და შემოდგამს კარის ზღურბლზე
ვესს ახალი წელი...
ბედნიერი ეოფილიეოს
ის წუთი და წამი,
სისარული დაჭეოლოდეს,
ამინ!
ამინ!
ამინ!
ავვესებოდეს სასუნსულო
უსვი სასუნსავით,
კველსინოს და კვეჭიკჭიკოს,
ამინ!
ამინ!
ამინ!
არ მოგველოდეს ერთმანეთის
სითბოსაზრუნავი,
ერთმანეთი კვევარებოდეს,
ამინ!
ამინ!
ამინ!
სასიმღეროდ, საღაღობოდ
მომართულა ეელი:
აბა, დელი-დელია და
აბა, დელი-დელი...
კვლოცავს თოვლის ბაბუა და
კვლოცავს თოვლის ბებო:
— სიკეთის და სისარულის
წელი დაგვევებოთ!..



სსსკ პოსტს



ბავშვებო! «დილის» ახალ რუბრიკაში, რომელსაც «ცხრა მთას იქით» დავარქვით, წაიკითხავთ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ზღაპრებს. ყოველ ზღაპარს წავეუძმდვარებთ ხოლმე მოკლე ცნობებს იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ეს ზღაპარი იშვა, რათა მციროდენი წარმოდგენა შეგვექმნათ მასზე.

დახვედით ამერიკის პოლიტიკურ რუკას. რამდენი ფერი ენაცვლება აქ ერთიმიგრეს. კონტინენტის ჩრდილოეთში მდებარე დიდი სახელმწიფოების — კანადის და ამერიკის შეერთებული შტატების გარდა აქ მრავალი სხვა ქვეყანაა. მათგან ერთ-ერთია პატარა კოსტა-რიკა, რომელიც ცენტრალურ ამერიკაში, პანამის ფლზე მდებარეობს. მის ჩრდილოეთით ნიკარაგუაა, სამხრეთით — პანამა, აღმოსავლეთით — კარიბის ზღვა, დასავლეთით — წყნარი ოკეანე.


კოსტა-რიკა კოლუმბმა აღმოაჩინა 1502 წელს და ნუევო კარტაგო დაარქვა, რაც ესპანურად მდიდარ სანაპიროს ნიშნავს. იგი მდიდარია ფაით, ბანანით; ძველთაგანვე ადგილობრივ ინდიელებს აქ მოჰყავდათ კაკაო, ბრინჯი, სიმინდი, ციტრუსები, აშუშავებდნენ თქერის და სპილენძს...

დღეს კოსტა-რიკელთა ოფიციალური ენა ესპანურია, როგორც ლათინური ამერიკის უმეტეს ქვეყნებში... ეს ზღაპარიც ესპანურიდან არის თარგმნილი.

ბიძია კურდღელი და დიიდა ბოია

ერთ დღეს ბიძია კურდღელი ტყეში მისიერნობდა და კინაღამ დეიდა ბოას მსხვერპლი შეიქნა. ეს ამბავი ასე მოხდა: დეიდა ბოა ხეს შემოხვეოდა და თვალები მიეღულა. ბიძია კურდღელმა იფიქრა, სძინავსო, და მშვიდად განაგრძო გზა. დეიდა ბოამ პირი დააღო და რომ არა ბიძია კურდღლის მარდი ფეხები, ახლა მისი ბუნდლაც აღარ იქნებოდა. კურდღელი რის კურდღელია, სამაგიეროს გადახდაზე არ ფიქრა. არადა, იმსიგრებ იყო დეიდა ბოა, იმსისქე და ისეთი საზარელი, რომ მის დანახვაზეც კი ელეთმელეთი მოუვიდოდა კაცს. იფიქრა ბიძია კურდღელმა, იფიქრა და შურისძიების გეგმა დააწყო. აილო ვვალოს ტომარა და გზას გაუღვა. დეიდა ბოა აწლოვანი ხის ფულურთში ცხოვრობდა. მიადგა ხეს ბიძია კურდღელი და ხმამაღლა დაუწყო ლაპარაკი თავის თავს, თან ხმას იცვლიდა, ვითომ სხვას ველაპარაკებო:

- ჩაეტევა!
- არ ჩაეტევა!
- გეუბნები, ჩაეტევა!
- არა-მეთქი!
- რომ ჩაეტიოს?
- რაზე ნიძლავი, არ ჩაეტევა!



ხმაურზე დეიდა ბოას გამოეღვიძა. მადლობა ღმერთს, კარგ ვუნებაზე იყო, ცოცხა ხნის წინ ტახტი გადაესანსლა და ახლა ინელებდა. გამოყო თავი ფულუროდან და კურდღელს ჰკითხა: რატომ გამაღვიძე ან ვის ელაპარაკებოდი.

— ჩემი ძმა მიმტკიცებს, დეიდა ბოა ამ ტომარაში არ ჩაეტყუვო, მე კი ვუბნები, ჩაეტყუვა-მეთქი. — უთხრა კურდღელს და თათი მოშორებით მდგარი ხისკენ გაიშვირა. თითქოს მისი ძმა იმ ხეს ევარებოდა.

— აბა, მოხსენი ტომარას პირი, — უბრძანა დეიდა ბოამ, — ნახოს შენმა ბრიყვმა ძმამ, ჩავეტყევი თუ არა!

ბიძია კურდღელი დეიდა ბოას მიუახლოვდა, თან გულში ლოცულობდა: ღმერთო დიდებულო, ოღონდ ახლა არ შემჭამოს, ოღონდ ახლა არ შემჭამოს. მაგრამ დეიდა ბოა მშვიდად შესრიალდა ტომარაში. ბიძია კურდღელმა სასწრაფოდ მოიხსნა ქამარი, ტომარას თავი მოუკრა და მდინარეში გადაუხაზა.

* გზო — მახროგზაზე გველი

თარგმნა თეა გვასალია

ოჯახური კვარტეტი

ტარიელ ჟანტურია

სოფიკო და ეკუნა,
ანანო და სალომე
ტკბილად,
სმამეწუობილად,
ჩიტებოვით გალობენ!
წირველს აშობოს სოფიკო
და შეორეს სალომე,
ბასს — ეკა და ანანო!
მოკლედ, ტკბილად გალობენ!
დამჯერა ოთხივე,
თანაც კარგად სწავლობენ,
მორჩებიან გაკვეთილს
და სმატკბილად გალობენ!
სიუვარული სიმღერის! —
შთავარი ეს ეოფილა!
კვარტეტია ნამდვილი —
მღერიან შეწუობილად!



წვიმის ზღაპარი

(დასასრული)


კაცმა ხელი გაიშვირა,
წრე მოხაზა ჰაერში
და ზეციდან ღრუბლის ფრთები
დაბლა, დაბლა დაეშენენ.
— შეშინია! შეშინია! —
წვეთს აუტრდა ქვითინი,
ქართა ჯარი მითვალთვალეს,
დამესხიან ისინი.

— შენ ღრუბლის ფრთებს მოგაშველებ —
შენს დედას და მამაკოს, —
ამ ქარს ახლა რა დღეს ვაური,
მთაც მინდა გავიგონ...

კაცმა ისევ წრე მოხაზა
ჰაერში და რა მოხდა?
უცებ თეთრზე თეთრი რაში
საიდანღაც გამოხატა.

კაცი უცებ გაჭაბუკდა,
გადეკვლო უნაზირს,
ხევის მიაწედა, ქარი იხმო
თავსედი და მხუნაგი.

გამოიჭრა ქარი ღრუნით,
ორლესული ფრთებითა,
ღმუის: — შე არ დაგუნებდები



გრივოლ ჯულუსიძე

არც ძალით, არც ხებით!
კრიკალი და ქარბორბალა
ცხენს და მხედარს აწელება,
ქარი ღმუის: — ვინ გაბუდა
წყმთან ბრძოლის დაწეება!
თავს უშველე, მაგ რაშიდან
არ დაჩხება ნაცარიც,
მერე უნდა ვწვა და ვახმო,
მიწის ზირზე რაც არის.
მიწის შიგნით ფეხებს დაეწევა,
ეულს კავუშრობს წყაროებს,
ანა, ერთი დამიდექი...
ორი... სამი... წამოველ!
წამოვიდა, მაგრამ ვაი,
რაც იქ მოხდა იმ წამში:
ხევა ზირი გახსნა, ქარი
ჩაიტანა მიწაში.
ქარი გაქრა,
მხედარს შუბლზე
გადურბინა სინათლემ,
გაიძარჯვა, როგორც წესი,
სიკეთემ და სიძარტილემ.
წვიმა ხელის მისაწვდომზე
ხედავს გულის კანკალით:
მშობელ ღრუბლებს მოუვლიათ
ცხრა ზეცა და ცხრა კარი.
ღეღ ღრუბლის სველი კალითა



ორთის შესვედრის ღოდინში:
 — ახლა, შვილო, ჩვენთან მოხვლას
 ქარი ვეღარ მოვიშლის.
 მივასლა უმაწვილკაცი
 და წვეთს მისცა ნუგუმი:
 მერე ღრუბლებს შვილი — წვიამ
 ჩაკეინა უგუმი.
 უმაწვილკაცი ახლა ისევ
 მოხუც კაცად გადაქცა,
 მხარზე გუდა გადაიკადა,
 ტახზე ჩონა გადაიცვა.
 და წარმოთქვა: — წვიმის წვეთო,
 შენ ხარ ქვეყნის მკურნალი,
 შენს გაქრობას, ხანამ მე ვარ
 ვერ გაბედავს ვერაფერი!
 შენ გადაჩნი, ილორმინე
 ამ ცა-მიწის ჰატრონძმა,
 მიწას ხშირად დაუბრუნდი
 ხან მხაჭუნად, ხან თქორად.
 ამ ნატურის ჯოხს თან გუგატან
 და თუ მოხდა ოდესმე
 კვლავ მიწაზე, კისკისის დროს
 ქარის სმა თუ მოგესმეს,
 ნატურის ჯოხი მოიხროლე,
 თავის ფერით შეიდიოა,
 ქარი წელში გადატელება
 ამ ფერების შიშითა.



ცა და მიწის უკუბი კენე
 ცისარტყელას კიბეთი,
 და არასდროს დილევი,
 კქონდეს ამის იმედი!
 ვაციღა, დაულოცა
 გზა საწვიმარ-საფრენი,
 აფრიალდა წვიმა ცაში
 შობულ ღრუბლის აფრებით.
 იმ დღის შემდეგ წვიმა არის
 შოა და ბარის იმედი...
 ცის და მიწის შუა დღის
 ცისარტყელის კიბეთი.
 ის კაცი კი ისევ დღის
 ხელჯოხით და გუდიოა,
 ჩიტის ბარტყებს ბუდეში სვამს
 გადმოვარდნილს ბუდიან.
 ევავილების ლილოჭრილო
 ძირს ეგება ნოხებად,
 ჰირავრის წერით კვლავ ჩერდება
 დარბიების ქოხებთან.
 გზასაცდენილს გზას ასწავლის,
 დაცემულს ხელს უმართავს,
 გასაჭირში გვერდში უდგას
 გულკეთილს და გულმართალს.
 ნურასოდეს ნუ შეგაპრობოთ
 შიში ბედის სიმკაცრის,
 ხანამ ქვეყნად არ მოშლიდა
 არსებობა იმ კაცის.



საბავშვო ქვეყნი

სურვა ფხის

აღგამღე

ნოდარ გუგუშვილი

ცურვა, ისევე როგორც რბენა, სიარული და ხტომა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის გამომწვეველი ჩვევაა და, ამდენად, მისი მუდმივი თანამგზავრიც არის. რა უფრო ადრე ისწავლა ჩვენმა წინაპარმა — რბენა თუ ცურვა, სიარული თუ ხტომა — ძნელი დასა-

დგენია, ისევე, როგორც არავინ იცის დროს უშუნივით, რა უფრო ადრე გაჩნდა, — კვერცი თუ ქათამი.

ადამიანი უსლოვარი დროიდან ცდილობს, ფარდა ახადოს სამყაროს საიდუმლოებებს. ამ მიზნით სერავდა იგი ზღვებსა და ოკეანეებს, ეძებდა ახალ ბედნიერებას. მაგრამ ზღვა მუდამ მშვიდი და სტუმართმოყვარე როდია. ნაგები და ხომალდები ზღვის სტიქიასთან ბრძოლაში ხშირად იღუპებოდნენ და, ადამიანები, თავი რომ გადაეჩინათ, ცურვით მიაპობდნენ წყალს ჩმელეთამდე. ასეთ დროს, როცა თავის გადასარჩენად იბრძვი, არა აქვს მნიშვნელობა, მკლავურით ცურავ, ბავაყურით თუ გულაღმა. მთავარია, როგორმე მიიტანო სული ნაპირამდე და ფეხქვეშ მიწა იგრძნო.

მოცურავეთა ამქარი თურმე უძველესი დროიდან არსებობს. მაგრამ მაშინ ამ ამქრებს მეტწილად სამხედრო დანიშნულებით იყენებდნენ (მტრის სიძლიერეზე ინფორმაციის შესაგროვებლად, ომის პირობებში ხომალდების სახელდახელოდ შესაკეთებლად და სხვა). ცურვას კი, როგორც წყალში გადაადგილების საშუალებას, ჩვენი წინაპრები გაცილებით ადრე დაეუფლნენ. სხვათა შორის



მელა პლიაჩა

რის, მოცურავის ყველაზე ძველი გამოსახულება ნაპოვნია იქ, სადაც ერთი წვეთი წყალი თქროსვე ძვირად ფასობს — ლიბის უდაბნოს ქვებზე შესრულებულ ნახატებში. ისტორიკოსთა მოწმობით ეს ნახატები 25 საუკუნის წინ არის შესრულებული.

დროთა განმავლობაში ცურვამ უფრო ორგანიზებული და გამიზნული ხასიათი მიიღო, XVI საუკუნეში კი უკვე სპორტის სახეობად ჩამოყალიბდა. ისტორიკოსების ცნობით მოცურავეთა პირველი ოფიციალური შეჯიბრება ვენეციაში ჩაუტარებიათ 1515 წელს. მაგრამ ამ თარიღის იქით სრული სიმწიფე და გაურკვეველობაა: რა შეჯიბრება იყო ეს, რა სტილით ცურავდნენ, როგორ აღირიცხებოდა დრო ან მანძილი? ისე კი გასაკვირია, რომ ამ არტეთ შორეული წარსულიდან ჩვენამდე მხოლოდ შეჯიბრების ადგილმა და დრომ მოაღწია.

ცურვის ისტორიასთან დაკავშირებით ზუსტად არის ცნობილი კიდევ რამდენიმე თარიღი: პირველი წიგნი ცურვის შესახებ 1538 წელს დასტამბულა (ავტორი — დანიელი სპეციალისტი ბიკმანი); იმავე საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბებიათ ცურვის სპეციალური სკოლები; 1770 წლიდან გერმანელებს სპორტული პროფილის სკოლებში ცურვა სავალდებულო საგნად უქცევიათ; 1877 წელს ინგლისში მოცურავეთა პირველი ოფიციალური შეჯიბრება ჩაუტარებიათ.

მდინარეებითა და ტყეებით მდიდარ ჩვენს ქვეყანაში — საქართველოში, ცურვა არასდროს არ ყოფილა ჭეშმარიტად სახალხო სპორტი, თუმცა მუდამ გვყავდა თითო-ორთა მადალი კლასის მოცურავე (ბორის ნიკიტინი, ალექსანდრე ტუტაკავეი, თინა ლეკვეიშვილი და სხვები). უცხოეთში კი მონარდი თაობის ფიზიკური აღზრდა, პირველ ყოვლისა, ცურვასთან არის დაკავშირებული. იქ სკოლებში, საბავშვო ბაღებში, უმადლეს სასწავლებლებში — ყველგან აქვთ საცურავი აუზები. კარგი იქნება ჩვენშიც გამახვილდეს ყურადღება ამასვე. ცნობილი გამოთქმა — ცურვა ფეხის ადგამადღო, იმას ნიშნავს, რომ ამ სპორტს ბავშვი ჩველობიდან უნდა ეზიაროს.

ასკინკილა, კინკილა, ვინ უკან და ვინ წინა. ერთსში შესაჯიბრებლად ტოლებს უსმობს ევინჩილა, დოქქვეს: გადიბრენენ ასმეტრიან მინდონს, ჭიაუელას მისცემენ გამარჯვებულს ჯილდოდ.



მხატვარი პასო სილაველი

საქართველოს
მეცნიერული
ბიბლიოთეკა



ისინი ზღვაში სმოვრობენ

ლოლო წივიწივაჰა

ვინ მოთვლის, რამდენ-
ხაირი ცხოველი ბუდობს
ზღვებსა და ოკეანეებში.
მაგრამ ადამიანს საუკუ-
ნეების მანძილზე ძალიან
ბუნდოვანი წარმოდგენა
ქონდა მაიჩე.

მხოლოდ სპეციალური
წვალქეშა აპარატების, საე-
ვინთაოვი კონსტრუქციების და
ნიღბების გამოყენებით შექ-
დო მან ჩაეხედა ზღვის სიღ-
რეში და შეცნობიერებდა
შეესწავლა მისი ბინადარი.

მათგან ზოგი ჩრდილოეთის
ცივ ზღვებში ცხოვრობს,
ზოგი თბილ ზღვებში, არიან
დიდი, ძუძუმწოვარი ცხოვე-
ლები და არიან ხერხემლია-
ნები...

დღეს გავცნოთ ზოგი-
ერთს ზღვის ხერხემლიანი
ცხოველებიდან — თევზები-
დან.

თევზებს არა აქვთ სხე-
ულის მუდმივი ტემპერატუ-
რა, განსხვავდებიან ერთმა-
ნეთისაგან ზომა-წონითა
და მოგვანილობით. თევზის
სხეული სიმეტრიულია,
გარდა ქამბალასი, რომელ-
საც ორივე თვალი ცალ მხა-
რეს აქვს. ზოგ თევზს თვა-
ლები საერთოდ არ გააჩნია,
სამაგიეროდ (დრმა ზღვები-
სა და მღვიმეების თევზებს)
მანათობელი ორგანოები
აქვთ; საერთოდ კი თევზები
მარტივი მხედველობის პატ-
რონის არიან, მხოლოდ ფე-
რებს არჩვენ. სუნთქავენ
დაეუხებით.

თბილ ზღვებში ბევრია
ადამიანისათვის სახიფათო
თევზები.


ნამდვილი ზღარბით
ნმსკით არის დაფარული
ზღარბთევზა. დაფარვებს
მუცელში პაერს და ზღვის

ზედაპირზე ბურთივითა
ცურავს. ზღარბთევზა მხო-
ლოდ ჩხვლებია კი არ არის,
მისი ხორცილი მოწამვლაც
შეიძლება. საშიშია **მურე-
ნაც**, ქარიელაბისაგან მო-
ვრძო თავპირიანი **ბარაკუ-
რაც**. ამ დიდ, ორმეტრნახევ-
რამდე სიგრძის ღონიერ
მტაცებელ თევზს ზღვის
ვეფხვსაც ეძახიან.


ქირურგ თევზს ბოლოზე
ორი მხამიანი ქაცვი აქვს
და მარჯვედ იყენებს მათ, —
ძალიან მტკიცეწულად იხ-
ხვლიტება. მისი ნახვლეტი
დიდხანს არ ხორცდება.
მტკიცეწული და ზოგჯერ მო-
მკვდინებელიც კია **ზღვის
ურჩხულის** ჩხვლებაც.

ზღვის თევზებიდან ვე-
ლაზე მხამიანია **ტეტრაღო-
ნი**, ანდა როგორც მას იაპო-
ნიაში უწოდებენ **ფუგუს**. გან-
საკუთრებით საშიშია მისი
ჭერიითი და თსლი. იაპო-
ნელები პირქუშად ხუმრო-
ბენ: „თუ ფუგუს ჭამა გადა-
წვიტე, ანდერძი დაწერო“.

ზღვის მტაცებელი თევ-
ზებიდან ძალიან საშიშია
ზვიგენი, ანუ **ნათელთევზა**.
ის დაუნდობლად ესხმის
თავს მოცურავეებს, მაგრამ
წვალქეშა მისცურავეებსა და



ბატარალონი



ზღარბთევზა

მატყარი პიორპი რიონიზვილი



ქურკი თევზი

მურანა

ბარაკუნა

მყვინთავებს ნაკლებად ერ-
ჩის.

თევზ-შიშურს ცხვირზე ძკლოვანი წამონახარდი აქვს (ამიტომ ჰქვია შიმშური, ანუ მახვილი), რომლითაც შეუძლია გემბანიც კი გახვრიტოს.

აღამიანისათვის სახიფათო თევზების გვერდით ზღვებში ისეთი თევზებიც ბინადრობენ, რომლებსაც სარეწაო მნიშვნელობა აქვთ. ზოგიერთი თევზის ხორცი

და ქვირითი (ხიზილადა), როგორც ნელი, ისე შებოლილი, მშვენიერი საკვებია; ზოგისაგან წამლებს ამზადებენ. ძალიან სასარგებლოა თევზის ქონი. ახლა კი ალბათ ყველას გაკეთ გავონილი შავი ზღვის ზვიგუნის — კატრანის ქონისაგან დაშადებული ახალი პრეპარატის — კატრექსის არაჩვეულებრივ სამკურნალო თვისებებზე.

საერთოდ საქართველოს ზღვის სანაპიროზე 160-მდე თევზის სახეობა გვხვდება, მაგრამ ყველას არა აქვს სარეწაო მნიშვნელობა. ზოგიერთი ჯიშის თევზების რეწვა შესაძლებელია, ზოგიერთებისა კი საერთოდ აკრძალულია.

ბავშვებო, ჩვენი ამ ნაამბობით, რასაკვირველია, სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეიქმნით ზღვის ცხოველთა სამყაროზე, მაგრამ დასაწყისისათვის ეს ცოდნაც კარგია. როცა დიდები გაიზრდებით, თქვენ თვითონ შეძლებთ დაიკმაყოფილოთ ის ინტერესი, ამ მცირე წერილის წაკითხვის შემდეგ რომ გაგინდათ.

ჭიქვა

გამოცემის 1904 წლიდან.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანოშვილი

სამხატვრო რედაქტორი
პიორგო როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ანდო ვარძილაძე

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, კობახის 14. ტელ. ში. რედაქციის 93-41-30, 93-98-16; პ/შ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; საშპ. რედაქციის — 93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწილად 5.08.91 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 5.12.91 წ. ქაღალდის ზომა 60x90¹/₈, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 60.000, შეკვეთა № 1535.

უფლებ ნახატი
გონიერად

6111/7

ყუკაღოუა! კაქლოუა!

ჟურნალი «დილა» გაცნობავთ!

მრავალტირაჟიანი საყმაწვილო ჟურნალი «დილა» აცნობებს მკითხველებს, რომ სთავაზობს დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს სარეკლამო მომსახურებას.

ჟურნალის გარეკანის ბოლო გვერდი დაეთმობა: კერძო საბავშვო ბაღების, უცხო ენების შემსწავლელი ჯგუფების, მოზარდთა ტანსაცმლისა და სათამაშოების, ატრაქციონების, საბავშვო კვების პროდუქტების, უაღკოჰოლო სასმელების, დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლების, კერძო საექიმო თუ პროფილაქტიკური დაწესებულებების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების, და სხვა რეკლამას, რომელიც ჩვენი მომავალი თაობის აღზრდისა და ჯანმრთელობის საქმეს შეუწყობს ხელს.

ჟურნალი «დილა» მზად არის გამოაქვეყნოს: ყმაწვილების დაბადების, სახელობის დღისა და ნათლობის მილოცვები.

სარეკლამო სამსახურისათვის ანგარიშსწორება მოხდება როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშით. ჩვენი მისამართია, 380096, კოსტავას ქ. № 14. ტელეფონები: 93-41-30; 93-10-32.